ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ

ᲡᲐᲥᲡᲢᲐᲢᲘ

National Statistics Office of Georgia

GEOSTAT

3589-5-2-201712280913

N 5-3589

28/12/2017

საქართველოს რეფორმების ასოციაციის
დირექტორს
ბატონ პაატა გაფრინდაშვილს

ბატონო პაატა,

თქვენი წერილის (12 დეკემბერი, 2017 წელი) პასუხად, გაცნობებთ, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია, საგარეო სექტორის სტატისტიკის ტექნიკური დახმარების ფარგლებში, საქართველოში იმყოფებოდა 2016 წლის 31 ოქტომბრიდან 11 ნოემბრამდე პერიოდში. მისიის მიზანს წარმოადგენდა საქსტატისა და საქართველოს ეროვნული ბანკისთვის დახმარების გაწევა, საგარეო სექტორის სტატისტიკის წარმოებისა და გავრცელების გაუმჯობესებაში.

მისიის ბოლოს, სავალუტო ფონდის ექსპერტის მიერ მომზადდა ანგარიში. ერთ-ერთი რეკომენდაციის თანახმად პრიორიტეტულ ქმედებად განისაზღვრა საქსტატის და ეროვნული ბანკის მონაცემების შესაბამისობაში მოყვანა. მოგაწვდით ამონარიდს ზემოაღნიშნული რეკომენდაციიდან: „საქსტატისა და ეროვნული ბანკის მიერ წარმოებული პირდაპირი ინვესტიციების მონაცემთა დინამიკური მწკრივების გადახედვა და აუცილებელი ცვლილებების განსაზღვრა მათი შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (2017 წლის დეკემბრისთვის). აღნიშნული ხელს შეუწყობს აღმოიფხვრას შეუსაბამობები საგარეო სექტორის სტატისტიკის მონაცემთა მწკრივებს შორის და მომხმარებლებს მიაწოდოს სანდო ინფორმაცია სხვადასხვა უწყებების მიერ წარმოებული ერთი და იმავე მაკროეკონომიკური მაჩვენებლების შესახებ.“

ცნობილია, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელმა შეიძლება მიიღოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მნიშვნელობა. შესაბამისად, კორექტირებული მონაცემები ცალკეულ პერიოდში შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს. სწორედ ამით აიხსნება დინამიკური მწკრივის ცვლილება სხვადასხვა მიმართულებით.

მონაცემების კორექტირება განხორციელდა საქსტატის მიერ შემუშავებული სტატისტიკური ინფორმაციის გადასინჯვის პოლიტიკის შესაბამისად (რეგულარული გადასინჯვის პრინციპის საფუძველზე) რესპონდენტების/ადმინისტრაციული წყაროების მიერ მონაცემების დაზუსტების შედეგად.

აღნიშნული დოკუმენტი შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ მოცემული ბმულის საშუალებით: http://geostat.ge/cms/site_images/Revision%20policy_Geostat_20%20July_final.pdf.

მერი დაუშვილი

აღმასრულებელი დირექტორი

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, Ც. ᲓᲐᲕᲘᲓᲘᲡ №30, 0180
ᲢᲔᲚ: +995 32 236 72 10
ᲤᲐᲥᲡᲘ: +995 32 236 72 13
ᲔᲚ-ᲤᲝᲡᲢᲐ: info@geostat.ge
www.geostat.ge

ᲡᲐᲥᲡᲢᲐᲢᲘ
www.geostat.ge